ქართული ისტორიული საბუთების სახისმეტყველება

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

ისტორიულ საბუთებს თავისთავად, წყاროთმცოდნეობით-ისტორიოგრაფიულ მნიშვნელობასთან ერთად, საღვთისმეტყველო, ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი ღირებულებაც აქვთ. შინაარსობრივი თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ქართული ისტორიული საბუთების კლასიფიკაციის თანახმად, მათში დასტურდება ისეთი ეპიზოდები, რომელთა ახსნა შესაძლებელია თეოლოგიური ან ლიტერატურული ფენომენის გათვალისწინებით. ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებით, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ.

ისტორიული საბუთებში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომელსაც ამა თუ იმ საბუთის შედგენისას მის შესაფერისად მიიჩნევდნენ. ბიბლიური და საღვთისმეტყველო საზრისის შემცველი ისტორიული საბუთების ტექსტები რამდენიმე ტიპისაა: 1. მათში აღნიშნულია, თუ ვის, ღმერთს ან რომელ წმინდანს მიმართავს ტექსტის შემდგენი თხოვნითა და სულის ხსნის ვედრებით; 2. საღვთო სახელთა სიმბოლიკის საკითხები; სამყაროს ქრისტიანული აღქმა და მისი ამსახველი ეპიზოდები; 3. ბიბლიურ-ევანგელური ეპიზოდების ასახვა და ალუზია; ბიბლიურ პერსონალიათა ხსენება; 4. სოფლისა და ზესთასოფლის მკვიდრთა სულიერი მომავალი; 5. შენდობისა და შეწყალების მოტივი; 6. ესქატოლოგიური თემა და განკითხვის დღის მოლოდინი; 7. კრულობისა და წყევლის თემა; ისტორიულ საბუთებში შემონახულ პოლიტიკურ-სოციალური თვალსაზრისისა და ინფორმაციის შემცველ ცნობებში ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახისმეტყველებითი ასპექტი წარმოჩნდება.

1. ყოველ ისტორიულ საბუთში გვხვდება ღმერთისადმი, ყოვლანმინდა ღვთისმშობლისა და მფარველი წმინდანებისადმი მიმართვა ან მათი ხსენება, რაც ერთგვარ ფორმულად არის ჩამოყალიბებული და სიგელის, დაწერილისა თუ სხვა ტიპის საისტორიო დოკუმენტისათვის სავალდებულო, შესავალი ნაწილია, რომელსაც სიგელის თავი ჰქვია; ი. ჯავახიშვილის სიტყვით, საბუთების შემადგენელი ნაკვეთები სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარი იყო. მაგრამ იყო წესი, რომელიც არ იცვლებოდა; ყოველი სიგელი იწყებოდა ქანწილით, მას მოსდევდა ვედრება, ქებულება, დიდებისმეტყველება. ეს იყო აუცილებელი შემადგენელი ნაწილი სიგელის თავისა (ჯავახიშვილი 1996). დავიმოწმებ მიქაელ ქართლის კათალიკოსის დაწერილის დასაწყისს ვაჩე გუარამაისადმი; საბუთი იწყება ქანწილით, რასაც მოსდევს ღმერთის, მისი ჰიპოსტასების, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, იოვანე წინამორბედის, სვეტი ცხოველის, საუფლო კვართისადმი მიმართვა:

> ქ. სახელითა ღმრთისაითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაითა უფროსად კურთხეულისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა პატიოსნისა ცხოველსმყოფელისა ძელისა ცხორებისაჲთა. წმიდისა წინასწარმეტყუველისა, წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოვანესითა, თანამოქმედებითა წმიდისა კათოლიკე ეკლესიასა შინა ღმრთივ-აღმართებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოჲსა და მიჰრონისა ღმერთმყოფელისაჲთა... (ენუქიძე და *სხვები* 1984: 114-115).

უნდა გამოვყოთ მღვიმისადმი ჭიაბერის დანერილის დასაწყისი, რომელიც საღვთისმეტყველო მჭევრმეტყველების ნიმუშია და ქრისტიანული სიმბოლიკითაა გამსჭვალული:

> ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომლისაგან შეისხნა ჴორცნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან და კუალად შემდგომად შობისა მშობელი ქალწულად დაიცვა. ძალითა ცხოველმსყოფელისა პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა ცხორებისაჲთა, რომელსა ზედა განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თუისნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან, ჴსნისათუის ჩუენისა, თავსმდებობითა და შენევნითა წმიდათა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა და მთავარანგელოზთაჲთა, მეოხებითა და შენევნითა წმიდისა დიდებულისა ნინაისწარმეტყუელისა, ნაშობთა ყოველთა უკაღრეესისა ნათლისმცემელისა იოვანესითა, თავსმდებობითა და შუამდგომელობითა წმიდისა და ყოვლად ქებულისა იოვანე მახარობელისაჲთა, რომელი მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა საღმრთოსა, თავსმდებობითადა შუამდგომელობითა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთაითა, რომელთა განანათლნეს კიდენი სოფლისანი და აღმოპფუხრეს საცთური კერპთმსახურებისაი, თავსმდებობითა და შუამდგომელობითა ყოველთა წმიდათა ზეცისა ქუეყანისაჲთა, რომელნი პირველ საუკუნეთა და შემდგომად საუკუნეთაისა სათნო-ყოფილი და სათნო-ყოფად არიან ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, მეოხებითა და თანამოქმედობითა წმიდისა და ყოვლად სანატრელისა მამისა ჩუენისა შიოსითა, რომლისა მიმართ არს სასოებაი ჩემი (ენუქიძე და *სხვები* 1984: 95-96).

საბუთის ეს ნაწილი საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ფორმა //ფორმულის გამოხატულებაა, რომელშიც ზოგჯერ სახარებისეული ან, საზოგადოდ, ბიბლიური ალუზიებიც ჩაერთვოდა ხოლმე. აგრეთვე, თითქმის ყველა ისტორიულ საბუთში დასტურდება პოლემიკური ნაკადიც, რასაც, საღვთისმეტყველოსთან ერთად, სიგელში შეტანილი ბრძანება // ბრძანებულებისა თუ პირობის დაცვისა და ამის გამო კრულობითი მოწმობის ფუნქციაც ენიჭებოდა. დამოწმებული საბუთის პირველივე წინადადება პარალელს პოულობს „მრწამსის" ტექსტთან, მისი პერიფრაზია:

> ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, რომლისაგან შეისხნა ჴორცნი ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან და კუალად შემდგომად შობისა მშობელი ქალწულად დაიცვა // რომელი ჩვენთვის კაცთათვის, და ჩვენისა ცხორებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ჴორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა (ლოცვანი 2001: 33).

აქვე, ზემოთ დამოწმებულ საბუთში მოხსენიებული ბიბლიური პერსონალიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს იოანე მახარებლის ხსენება, იგი წარმოდგენილია როგორც მაცხოვრის საყვარელი მოწაფე, „რომელი მიეყრდნა სერობასა მას მკერდსა საღმრთოსა", რასაც იოანეს სახარების (იოანე 13: 23, 25) ტექსტი მოწმობს (სულავა 2011: 33-38).

2. ისტორიული საბუთების ტექსტები საღვთისმეტყველო საზრისს, საღვთისმეტყველო მოძღვრებას, სამყაროს სიმბოლურ არსს ასახავენ. ყოველი ეს სიმბოლო ადამიანის სულიერი სამყაროს წარმოჩენას ემსახურება. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა ათონის სააღაპე წიგნში მოთავსებული ერთ-ერთი აღაპი, რომელიც ნიკოლოზ გულაბერისძის ხელითაა დანერილი და რომელიც „განნესებულია 26 სექტემბერს იოანე მნიგნობართუხუცესისათვის მამა პავლეს, მოძღვრის, დეკანოზისა და მთელი საკრებულოს მიერ უმდიდრესი და საპატიო განგებით იმ დამსახურებისათვის, რომელიც მას მიუძღვის ქართველთა მონასტრისა და ქვეყნის წინაშე: კელინთა დანვის შემდეგ იოანემ მონასტერს შეს-

ნირა ევლოგია, რომელიც ათონზე ჩაიტანეს საქართველოში საკალმასოდ გაგზავნილმა ბერებმა - „პერპერა- ლიტრაი 4 და 1 ოქროს ფარჩა“ (მეტრეველი, 1998: 259). სხვა აღაპებისაგან განსხვავებით, ეს აღაპი მდიდარია საღვთისმეტყველო მჭევრმეტყველებით და ნათლად ჩანს, რომ იგი საღვთისმეტყველო საკითხებში ღრმად განსწავლული, განათლებული ადამიანის მიერაა დაწერილი. აქ დამოწმებული საღვთო სახელები სამყაროს შექმნასთან, კაცობრიობის სულიერ განვითარებასთან, მაცხოვრის მოვლინებასთან და ცოდვათაგან კაცობრიობის განწმენდასთან არის დაკავშირებული, რაც ღვთისმეტყველი წმიდა მამების მემკვიდრეობაში დეტალურადაა კომენტირებული:

> ვინაითგან უკუს თჳთ ყოვლისა სიბრძნით განმგებელმან, სახიერმან და ყოველთათჳს კაცთმოყუარებით წყალობისმეძიებელმან, არაარსობისაგან არსად მომყვანებელმან ყოველთამან, უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, რომელნი-უკუს-ესე სახელის მოდგამობასა მისსა ღირს ვექმნენით, რომელნიცა აღვიბეჭდენით წმიდითა ბეჭდითა მისითა და აღნიშნულ ვიქმნენით წმიდითა სისხლითა მისითა, არათუ ოდენ ხოლო სიტყჳთ და არცა წინაწარმეტყუელთა და მოციქულთა მიერ გუაუწყა და განგჳნესა სახე და კეთილმოქმედებისა მიმართ მარადის მოძრავობაი ცხორებისა მისთჳს საუკუნოისა, რაითა შვილ ნათლის ვიპოვნეთ დღესა მას აღდგომისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა (მეტრეველი 1998: 179).

მთელი ეს მონაკვეთი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზრითაა დატვირთული, რომელშიც მაცხოვრის ერთ-ერთი სიმბოლური სახელი „არაარსობისაგან არსად მომყვანებელი“, საზოგადოდ, ყოველი არსის, კერძოდ, ადამიანის შექმნას უკავშირდება. არსი დამოუკიდებელი არსებობის მქონეა, ის პირველადია, რაც ყოველივეს საფუძველია. ცნება განიმარტება ძველბერძენ ფილოსოფოსთა და ქრისტიან ღვთისმეტყველ წმიდა მამათა ნააზრევში. იგი საღვთისმეტყველო მწერლობაში მეტად გავრცელებული ტერმინია. წმ. იოანე დამასკელმა „დიალექტიკაში“ არსი, არსება, მყოფი, ბუნება, შემდეგნაირად განმარტა:

> ან უკუე გარეშენი ფილოსოფოსნი მსგავსად პირველ თქუმულისა სიტყჳსა განყოფილებასა იტყჳან არსებისა და ბუნებისასა, რამეთუ არსებად უწოდენ მარტივად მდებარესა ნივთსა, ხოლო ბუნებად – არსებასა დასახულსა განყოფილებად არსებითად, რომელსა იგი მარტივად ყოფასა თანა ვითარებაიცა რაიმე აქუნდეს ყოფისაი – სიტყჳერებაი ანუ პირუტყუებაი, მოკუდავებაი და უკუდავებაი, ესე იგი არს, რომელ ვიტყჳ შეუცვალებელსა მას დასაბამსა და მიზეზსა და ძალსა, რომელი-იგი დამბადებელისა მიერ მიენიჭა მოძრაობად თითოეულსა ბუნებასა: ვითარ-იგი ანგელოზთა მიეცა ძალი, რაითა გულისჴმა-ყოფდენ და თჳნიერ ჴმოვანისა სიტყჳსა ურთიერთას აუწყებდენ გულის–მის-ყოფათა“ (რაფაელი 1976: 45, 98).

წმ. იოანე დამასკელი ეყრდნობა ძველ ფილოსოფოსთა ნააზრევს, როდესაც ახსენებს „გარეშეთა ფილოსოფოსთა“, რომელთა მოძღვრების თანახმად, არსი, მყოფი, ბუნება განმარტებულია, როგორც „მარტივ მდებარე ნივთი“ და „არსება დასახული განყოფილება“. ცნობილი ფაქტია, რომ ღვთისმეტყველება ხშირად იყენებს ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც ქრისტიანული თვალთახედვითაა გაშინაარსებული. წმ. იოანე დამასკელი არაერთხელ უბრუნდება არსისა და არსების განმარტებას და აღნიშნავს: „არსობა- ზოგადი სახელი არს ყოველთა არსთა-“ (1,1), „არსობა- ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა-“ (1,1), „შობა- არს არა-არსისაგან არსად გამოსლვა-“ (48,5). იგი განასხვავებს

არსებასა და ბუნებას, რაშიც ემყარება ანტიკური ფილოსოფიის მოძღვრებას: „ფილოსოფოსნი განყოფილობასა იტყჳან არსებისა და ბუნებისასა" (13,1). მას მოჰყავს საღვთისმეტყველო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი არსების, ბუნებისა და ხატების შესახებ: „[წმ. მამათა] ზოგადსა და მრავალსა ზედა განფენილსა სათქუმელსა არსება და ბუნება და ხატება სახელ-სდვეს" (13,4). ცალკე მსჯელობის საგანია „თვით არსებაჲ": „თავსა შორის თკსსა იყოს და არა სხუასა შინა მიეღოს ყოფაჲ, იგი თკთ-არსება არს" (1,6).

ყოველი არსებული საგანი თუ მოვლენა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში განიხილება არსების იგივეობისა და სხვაობის თვალსაზრისით. ყოველი მყოფი არსებაა, ყოველი მყოფის დასაბამი ერთია და, ამდენად, ყოველივე იგივეობის ნიშნით ხასიათდება. ამავე დროს, მყოფი მრავალია, რომლებიც ერთმანეთისაგან, წმიდა იოანე დამასკელისეული ტერმინით, „სხუაობით", განირჩევიან. ერთისა და სიმრავლის ამგვარი გაგებით, არსების კატეგორიას ერწყმის იგივეობისა და განსხვავებულობის პრინციპი. არსში იგულისხმება ზეციური და ამქვეყნიური არსებები, იგი ყოვლისმომცველი ცნებაა, ზოგადი გაგებით, არსება არის საერთოდ ყოფიერება, ხოლო კონკრეტული გაგებით, არსება არის ყოველი დამოუკიდებელი არსებობა. ეს ტერმინები პოლისემიურია: 1. ყოფიერება, არსებობა; 2. ყოფნა; 3. სუბსტრატი. არსი არის ის უზოგადესი ცნება, რომელიც ფილოსოფიის შესწავლის საგანია და შეთვისებული აქვს ღვთისმეტყველებას. იგი არის არა კონკრეტული გამოვლინება, არამედ ყოველივე არსებულის ზოგადი პრინციპი.

ქართულ საისტორიო წყაროებში, ისტორიულ საბუთებში არსის ცნება საღვთისმეტყველო ტრაქტატების შინაარსობრივ კვალობაზეა გააზრებული. არსი ყველგან არსებულს, მყოფს, არსებადადებულს ნიშნავს, რომლის დასაბამი, სანყისი ღმერთისგან მოდის და რომლის მიზეზი შემოქმედი ღმერთია, ანუ „არა-არსთაგან არსად მომყვანებელია". ათონის სააღაპე წიგნში 155-ე აღაპის „არაარსისაგან არსად მომყვანებელი" სწორედ ამგვარი, საღვთისმეტყველო აზრითაა გაშინაარსებული.

აღაპის ამავე მონაკვეთში მაცხოვრის სიმბოლოდ გამოყენებული „შვილ ნათლის" განიმარტება საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული ბიბლიურ-ევანგელური მოძღვრების კვალობაზე. ნათელი საღვთო სახელია, რასაც იოანეს სახარება ადასტურებს: „მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდის ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხორებისაჲ" (იოანე, 8, 12); „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად" (იოანე, 1, 9); „მე ნათელი სოფლად მოვივლინე, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს ჩემი, ბნელსა შინა არა დაადგრეს" (იოანე, 12, 46). აღაპის ზემოთ დამოწმებული ტექსტი შთაგონებულია ნათლის სიმბოლიკით, ნათლის ქრისტიანული გააზრებითა და ასპექტით.

პოეტურობითაა გამსჭვალული აღაპის ის ნაწილი, სადაც საუბარია რაღაც „მანქანებით" კელინთა გადაწვისა და შემდეგ ღვთის შეწევნით მისი აღდგენის შესახებ, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა იოანე მწიგნობართუხუცესმა. აღაპში მისი ქველმოქმედება ევანგელურ-აპოსტოლური მოძღვრებითაა მოტივირებული.

3. საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავს ეპიგრაფიკული ძეგლების ნაწილიც. კერძოდ, საღვთისმეტყველო თვალთახედვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თმოგვში წმ. მარინეს ეკლესიაში შემონახული 1304 წლის წარწერა, რომელშიც წარწერის შემსრულებელმა სამინამმა საკუთარი თავი მოიხსენია, როგორც „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული", ე.ი. ცოდვილი; ქრისტეს ხატ-სახე წარმოაჩინა, როგორც „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი"; იგი ღმერთს მიმართავს, ვითარცა „ძალასა შემოქმედსა"; აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან მაცხოვარი და წარწერის შემსრულებელი, რაც საღვთისმეტყველო საზ-

რისით დატვირთული ანტინომიური გამოთქმებითაა გამოხატული: მაცხოვარი – „ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელი", ხოლო სამინამი – „მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული", რაც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში დამკვიდრებული თავმდაბლობის მოტივის გამოხატულებაა. წარწერის შემსრულებელსვე აუშენებია ეს ეკლესია ღვთისაგან ხელდადებული წმ. მარინას მადლით წმინდანის სახელზე. ღმერთს შესთხოვს, რომ ღვთის მონას სამინამს მეოხი ეყოს ორსავე ცხოვრებასა შინა: „სახელითა ღმრთისაჲთა, ... ღმრთისაგან დაბადებულთაგან მიუცთომელო, შენსა მიუცთომლობასა და ძალასა შემოქმედსა, [ქრის]ტე მიუცთომლად შეცოდებული დაბადებული შენი სამინამ რომლისათუის არა ვინ არს ხელისამპყრობელი თუინიერ შენ ღვთაებისგან კიდე, წმიდაო მარინა, მადლისა მის საღმრთოისა რომლისათუისა სისხლნი დასთხიენ. სახელსა შენსა ზედა აღმიშენებია ესე მცირე ეკლესიაი მონასა შენსა სამინამს მეოხ მეყავ ორსავე შინა ცხორებასა. აღეშენა ესე ეკლესიაი ქორონიკონსა ფკგ ჴელმწიფობასა [ყაზა]ნისა და მეფობასა დავითისსა, ამენ" (სილოგავა და *სხვები* 2012: 61-62). საბუთების შემდგენლები, მათი შედგენის ინიციატორები, წარწერების შემსრულებლები ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულ და სახისმეტყველებითად მოაზროვნე პიროვნებად წარმოგვიდგებიან.

4. საბუთების ტექსტების ნაწილი ეხმიანება ძველი აღთქმის ტექსტს, რომლებშიც მოიხსენიებიან ბიბლიური პერსონალიები, მათი ხსენება სახისმეტყველებითი ფუნქციითაა დატვირთული. მაგ., ბურნაშეთის წარწერა ასახავს დანიელის ხსნის, გადარჩენის ეპიზოდს ლომის პირისაგან დანიელის წინასწარმეტყველებიდან (დან. თ.6), რასაც წარწერაში ნახსენებ მაშენებელთა სულთა ხსნის გამო ღვთისადმი ვედრების მისია აკისრია: „უფალო, ვითარცა იჴსენ დანიელ პირისაგან ლომთაჲსა, ეგრე იჴსნენ ამის წმიდისა ეკლესიისა მაშენებელნი ჴელთაგან ჯოჯოხეთისაგან" (სილოგავა და *სხვები* 2012: 38).

ტექსტების ნაწილი ახალი აღთქმის სიმბოლურ მინიშნებებს, ალუზიებს მოიცავს. ~~ბიეთის წარწერაში~~ წმინდა ზიარების თემაა ასახული ბიეთის წარწერაში: „მიიღეთ და ჭამეთ ესე არს ხორცი ჩემი თქოენთოის..."; წარწერა ეფუძნება მაცხოვრის სისხლისა და ხორცის ზიარების სახარებისეულ მისტერიას; მათეს სახარება გვამცნობს: „მოიღო იესუ პური და ჰმადლობდა და განტეხა და მისცა მონაფეთა თჳსთა და ჰრქუა მათ; მიიღეთ და ჭამეთ: ესე არს ჴორცი ჩემი. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგანი ყოველთა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისაჲ, მრავალთათჳს დათხეული მისატევებელად ცოდვათა" (მათე, 26, 26-28; შდრ.: ლუკა, 22, 15-20).

5. საბუთებსა და წარწერებში ორსავე სოფელსა შინა სულიერი არსებობის მოტივს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. როგორც საბუთის დამკვეთი, მასში მოხსენიებული პირი //პირები, ასევე ის პირი, რომლის შესახებაც არის საუბარი ან რომლისთვისაც არის შედგენილი საბუთი, მოელის ცხოვნებას ორსავე სოფელსა შინა: „† იესუ ქრისტე, დიდებულ-ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა მეორედ აღმშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა, მეცხედრე მათი მარიხ, ძენი მათნი და ასულნი მათნი, ამინ" ; „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე ცხორებათა მანდატურთუხუცესი შალვა, ძითა და ძმითა..." (სილოგავა და *სხვები* 2012: 41). „აღეშენა ეკლესია ესე მათ ჟამთა შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა; ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხორებათა შინა..." (სილოგავა და *სხვები* 2012: 36). კარნეთის წარწერაში ქართლის კათალიკოსის იოვანე ოქროპირის დიდებას ორსავე ცხოვრებასა შინა ევედრება მაცხოვარს წარწერის შემსრულებელი: „ქრისტე, ადიდე იოვანე-ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი, ორთავე ცხორებათა, იყავნ ამენ" (სილოგავა და *სხვები* 2012: 66).

6. საბუთებში ჩვეულებრივია სულის შეწყალებისა და შენდობის მოტივის შემცველი შინაარსი. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომ-

ღვიმის მონასტრისადმი, რომლის დასაწყისში მეფის განწყობილება, სულიერი სამყარო, ზნეობრიობა უმაღლეს და ყოვლისმომცველ უნივერსალიებს სწვდება, როდესაც მეფე საკუთარ თავს უმადლოს უწოდებს, ხოლო ამის მიუხედავად ღმერთმა იგი არ მოიძაგა, პირიქით, წყალობა უბოძა და სიკეთე მიამადლა:

> ვინათგან მსთუა მან წყალობად და სულგრძელმან მხედველობათა შინა ცოდვათასა და წყალობითა სიყუარულისა თჳსისა მიმართ მიმზიდველმან ღმერთმან ჩემ ულირსსა ზედა აჩუჱნნა მიუწდომელნი ქველისმოქმედებანი, რომელთათჳს ყოვლად უმადლოჲ ესე, ჯერისაებრ ვერ მმადლობელიცა არა მომიძაგა და არა დააცადა ჩუჱულებითი წყალობაჲ დღესდღეომდე უგბილსა სულსა ზედა, რომელთაჲ კერძოჲ რაჲმე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობაისავე მივსცე თხრობასა (ენუქიძე და *სხვები* 1984: 53-54).

ისტორიულ საბუთებში, ეპიგრაფიკულ ნიმუშებში ესქატოლოგიური ხედვაც ხშირად იკითხება. ისტორიულ დოკუმენტებში საბუთის გამცემი ღმერთს, სამივე ჰიპოსტასსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, დედა ღვთისას, სთხოვს მეოხებას, რათა „დღესა საშინელსა“ პირნათელი წარდგეს ღვთის წინაშე. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბუთებში არეკლილია ესქატოლოგიური მოტივი. განკითხვის დღისა და ღვთისაგან შეწყალების მოლოდინი გამოსჭვივის ისტორიული საბუთების ტექსტების უმრავლესობიდან, რაც შემდგენელთა, საბუთში მოხსენიებულთა, ინიციატორთა ქრისტიანულ მრწამსს გამოხატავს. დიდი გასაჭირისაგან მხსნელად მიიჩნევს და ღმერთს შესთხოვს, რომ განკითხვის დღეს, ღვთის წინაშე წარდგომისას წინ დაუხვედროს მისი ღვაწლი, ხოლო საბუთის შედგენის ძირითადი დებულების მოწინააღმდეგეს ან შემცვლელს მარადიული სასჯელი მოელის „დღესა მას განკითხვისასა“. ათონის მონასტრის სააღაპე წიგნში მოთავსებული ერთ-ერთი აღაპი მთავრდება განკითხვის დღის მოლოდინით: „და ვინ ესე ჩუენ მიერ განწესებული შეცვალოს, მამამან ანუ თუ ძმათაგანმან ვინმე, დეკანოზმან, გინათუ კონომოსმან, დიდმან ანუ თუ მცირემან, შე-მცა-ცვალებულ არს წესისაგან ქრისტესმიერისა, და ღმერთმან საშჯელი მიჰჴადენ დღესა მას განკითხვისასა, ამენ“ (მეტრეველი 1998: 181-182).

განკითხვის დღის მოლოდინითაა აღსავსე ზემოხსენებული დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი: „ხოლო შენ, წმიდაო, ღმერთშემოსილო მამაო შიო, ოდეს დაჯდეს ქრისტე ღმერთი განსჯად ყოველთა ტომთა და საქმეთა, წარმოუდეგ და განესაჯე და ვითარცა შემაწუხებელსა შენსა ზედა, ეგრეთ შური იძიე პირითა ღმრთისაითა“ (ენუქიძე და *სხვები* 1984: 59). აქვე უნდა აღინიშნოს სიგელში გამოთქმული მოსაზრების სიახლოვე დავით აღმაშენებლის საგალობელთან, რომელშიც ესქატოლოგიური მოტივი, სამყაროს აღსასრულის მოლოდინი, მაცხოვრის მიერ კაცობრიობის განსჯის მოლოდინი მეორედ მოსვლის ჟამს წარმმართველ მოტივად მიიჩნევა.

7. საბუთებში ხშირია წყევლისა და კრულობითი ტექსტები, რომელთა საჭიროება იმით აიხსნება, რომ სალვთისმეტყველო კანონი და საბუთის დამკვეთის, შემსრულებლის ან მასთან დაკავშირებულ პირთა სურვილი არ დაირღვეს. ამ თემის ტრადიციას ასახავენ ძველი საისტორიო საბუთები და ხელნაწერები, რასაც ქართული მასალის საფუძველზე კვალიფიკაცია მისცა ივანე ჯავახიშვილმა მონოგრაფიაში „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“. მასში გამოყოფილ სიგლის ნაწილს, კრულობით მოწმობას, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. კრულობა წყევლა-კრულვას გულისხმობდა და იმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ვინც სიგელით გათვალისწინებულ პირობას დაარღვევდა. სწორედ ამგვარი წყევლა და კრულობა გვხვდება საისტორიო წყაროებში, კერძოდ, ისტორიულ სა-

ბუთებში, ეპიგრაფიკულ წარწერებში, რაც იმას მოწმობს, რომ ერთნაირი ფორმები იყო შემუშავებული ხელნაწერი ნიგნების გადამწერთა, ისტორიული საბუთებისა და ეპიგრაფიკული წარწერების შემსრულებელთა მიერ.

წყევლისა და შეჩვენების შემცველი სიტყვები საბუთის შემსრულებლის ან მისი დამკვეთის სურვილის შეცვლის მსურველთა წინააღმდეგ არის მიმართული; საბუთებში მოხსენიებულ პირთაგან თუ უარყოფით ძალთაგან საინტერესოა კაენის, იუდას, სამაელის, დათანის, აბირონისა და სხვათა სახელების ხსენება, რომელთა საქციელი დაგმობილია; ის, ვინც საბუთის შინაარსის შეცვლას შეეცდება, ზემოხსენებულ პერსონალიებთანაა გატოლებული და მიმსგავსებული. სიგელებიდან დავიმოწმებ თამარ მეფის სიგელს გელათისადმი:

> და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულისა ამის ჩუენისაჲ, არცა მეუნებლე, მავნებელი და დამაკლებელი მისი. და თუ ვინმე იკადროს ამისა ჩემისა გაგებულისა შეცვალებად, გინა თუ ჴელმწიფემან, ანუ რამანცა გუარმან კაცმან, რაისაცა მიზეზისა შემოღებითა, გა-მცა-ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაჲ, შე-მცა-ედების ძრნოლაჲ კაენისაი, შიშთვილი იუდაჲსი, დანთქმაჲ დათან და აბირონისი. და კრულმცა არს სიტყუითა ღმრთისაითა მკუდარი და ცოცხალი გაუჴსნელად და ნუმცა რაი წარემართების მისთუისა საუმჯობესოდ ქნილი (ენუქიძე და *სხვები* 1984: 79).

ერთ ნიმუშს ეპიგრაფიკიდანაც დავიმოწმებ: სათხის წარწერაში მითითებულია, რომ გიორგი შაზელისძისა და მისი ძეების სახელზე დაწესდეს აღაპი და ვინც შემდგომში იქნება მწირველი, წირვა არავინ დააკლოს. ვინც არ აღასრულოს, მასზე კანონმა იმოქმედოს: „რ გიორგი შაზელისძესა და ძეთა მისთა შეუნდვენ ღმერთმან. დაიდვეს ორი დღე აღაპი, რომე არცა ზედაშე და სეფისკუერი გამოვიდეს, ბარბარობაჲ და მეორედ მოსლვაჲ, ამა საყდარსა შიგან მყოფმა ვერავინ დააკლოს წირვაი, ჩუენმა მომავალმან; და ვინცა დააკლოს, კანონსა-მცა ქუეშე არს; ამენ" (სილოგავა და *სხვები* 2012: 103).

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საბუთებში პოლემიკური ნაკადიც შეინიშნება, რომელშიც განსაკუთრებით აქტუალური ორიგენიზმისა და ნესტორიანობის წინააღმდეგ გამოთქმული შეხედულებებია. ისევ თამარ მეფის სიგელიდან დავიმოწმებ ერთ მონაკვეთს, რომელშიც სწორედ ხსენებულ პირთა მოძღვრებებისადმი კრიტიკულ-პოლემიკური დამოკიდებულება ჩანს: „ამის მომშლელმან გარნა გონებადცა მიუღენ ჩემგან, განგებისა შერისხვითა მოეჴადენ ბრალნი ნესტორ და ორიგენესი" (ენუქიძე და სხვები, 1984: 80). სიგელში მინიშნებულია ისიც, რომ სიტყვის დამშლელს მოელის განკითხვის ჟამს ღვთისაგან სასჯელი: „ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი მტკიცე შეცვალოს. შენ, ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო, ძისა შენისა და სულისა წმიდისა მგმობართა თანა დასაჯე იგი და ჩემთა ცოდვათა და ბრალთა მზღვევია იგი დღესა განკითხვისასა. და სიტყუაი იგი მას ზედამცა აღესრულების: „სისხლი მაგისი ჩუენ-ზედა და შვილთა ჩუენთა ზედა" – მათე, 27, 25 (ენუქიძე და *სხვები* 1984: 80). აქ ყურადღებას იქცევს მათეს სახარებიდან დამოწმებული მუხლი, რომელიც სასჯელის სანაცვლოდ ღვთისაგან მიზღვას მკაცრად მიუთითებს.

ჭიაბერის დაწერილი მღვიმისადმი კრულობის ნაწილში ასახელებს მწვალებლებს, რომელთა მცდარი მოსაზრება და ქრისტიანთადმი დამოკიდებულებაა მითითებული, მაგ., ნესტორი და არიოზი; ნახსენებია ის წმინდანები, რომლებიც მწვალებლებმა აწამეს, მაგ., იოანე ნათლისმცემელი, პეტრე და პავლე მოციქულები; ფაქტობრივად, ანტინომიურ

მეთოდზე დაყრდნობით გადმოიცემა საღვთისმეტყველო საზრისი და წმინდანთა მისაბაძი ხატ-სახეები: „და რამანცა გუარმან კაცმან ჴელ-ყოს ამისად შლად და გატეხად, კრულმცა არს დაუსაბამოისა ღმრთისა პირითა, ნესტორმცა არს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათუის, არიოზ ძისა მისისათუის, ჰეროდე ნათლისმცემელისათუის, ნერონ წმიდათა პეტრე და პავლესთუის. და უთქუამსცა დასასრულად სიტყუისად, ვითარმედ: „არა არს სხუაი ღმერთი თუინიერ სამაელისსაო" და „ყოველთამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთა პატიჟსა მიმჴდელი არის" (ენუქიძე და *სხვები* 1984: 97).

ასეთივე მდიდარია ურთიერთსაპირისპირო პერსონალიათა დასახელებით თამარ მეფის სიგელი შიომღვიმის მონასტრისადმი, სადაც სიგელში დამონმებული პირობის აუსრულებლობის შემთხვევაში საბუთის დამკვეთი თავს უცოდველად იხსენიებს, ხოლო ის, ვინც არ აასრულებს ანდერძს, სამუდამოდ სულიერად წარწყმდება, სიკვდილის წინ მოელის უზიარებლობა. დავიმონმებ ამ ტექსტსაც, როგორც უაღრესად საინტერესოს კრულობითი თვალსაზრისით:

> ან ესე, ვითა ქნილა და გაგებულა, მტკიცე ყოს ღმერთმან და თუით წმიდამან შიო. და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან... შეცვალოს და ნარმდებებით აღარ ჰკაზმოს და არ იურვოს, რაისაცა მიზეზისა მოღებითა, ნისტორმცა არს ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათუის, არიოზ – ძისა მისისათუის, ჰეროდე – ნათლისმცემელისათუის, დომენტიანე – იოვანე მახარებელისათუის, ნერონ – წმიდათა მოციქულთათუის, დეოკლიტიანე და მაქსიმიანე – წმიდათა მოწამეთათუის; და სადაცა უსისხლო მსხუერპლი შეინირვის და ანუ შეწირულა და ბარძიმსა შინა წყალი ერთვის და რთულა, მისმცა ყუელაისა მადლითა კრულია ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. და მემცა უბრალო ვიქმნები ყოველთა ცოდვათა ჩემთაგან. და ამას წმიდასა უდაბნოსა შინა მყოფთა რასაცა ჟამსა ჰმართებდეს და საურავი უნდეს, დაალონ და არ იურვონ, უზიარებელმცა იქმნებიან დღესა ჴორცთაგან განსლვისა მათისსა და გამო-მცა-ეჴუებიან კრებულისაგან წმიდათა მამათაისა" (ენუქიძე და *სხვები* 1984: 103).

ამრიგად, ქართული ისტორიული საბუთები მრავალმხრივი ღირებულების ცნობებს გვაწვდიან. ისინი, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულების გარდა, საღვთისმეტყველო და ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისითაც იქცევენ ყურადღებას. მათ ლიტერატურათმცოდნეობითი და სახისმეტყველებითი მნიშვნელობაც აქვთ. კერძოდ, ისინი, არცთუ იშვიათად, სარგებლობენ ბიბლიური წიგნებით და, შესაბამისად, ბიბლიურ მოტივებს, ალუზიებს, ხატ-სახეებს ასახავენ, საღვთისმეტყველო საზრისს გამოხატავენ, საბუთების დამკვეთების, შემსრულებლების აზროვნების დონესა და მსოფლმხედველობას წარმოაჩენენ, მათში გამოიკვეთა ის თემატიკა და მოტივები, რომლებსაც ამა თუ იმ ისტორიული საბუთის შესრულებისას ეყრდნობოდნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ ცალკე კვლევის საკითხად უნდა მივიჩნიოთ ენობრივი პრობლემა, რადგან ისინი ენის განვითარების ისტორიასაც ასახავენ და აჩვენებენ, რომ თითოეული მათგანი კონკრეტული ისტორიული საბუთის შექმნის ეპოქაში არსებული სალიტერატურო-მწიგნობრული ენობრივი ნორმების შესაბამისად იქმნებოდა.

რაფავა 1977: მ. რაფავა. *იოანე დამასკელი,* გარდამოცემა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი .

ენუქიძე და *სხვები* 1984: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი,* ტ. I, IX-XIII სს. საბუთები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.

ლოცვანი 2001: *ლოცვანი.* იბეჭდება რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის იობის ლოცვა--კურთხევით, თბილისი.

მეტრეველი 1996: ე. მეტრეველი. *ათონის მონასტრის სააღაპე წიგნი,* თბილისი.

სილოგავა და *სხვები* 2012: *ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი,* გამოსაცემად მოამზადეს ვალერი სილოგავამ, ლია ახალაძემ, მერაბ ბერიძემ, ნესტან სულავამ და როინ ყავრელიშვილმა, თბილისი.

სულავა 2011: ნ. სულავა. *სახარებისეული ალუზია ქართულ ისტორიულ საბუთებში,* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ნ. 4.

ჯავახიშვილი 1996: ი. ჯავახიშვილი. *ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა,* ტ. IX, თბილისი.

Imagery Thinking of Georgian Historical Ducuments

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili Thilisi State University
Thilisi, Georgia

Georgian historical documents, namely, lapidary inscriptions together with the historical value have literary, theological and imagary meaning as well. By the meaning of the plot in inscription given in scientific literature there are such episods which can be explained by considering theological and literary phenomena. There are the examples of using Biblical books, by Old and New Terstament, and accordingly using biblical plots, fresco, allusion, they are having the meaning of theology.

In inscriptions there are plots which were considered in the process of making any documents. There are several types of inscription having the biblical and theological meaning, such as: 1. Inscriptions show the names of who they ask a help to save their souls, the God or any other saints. 2. The symbols of the God's names, theological explanation of the world and the episods about the world creation. 3. Biblical episods and allusion. To be mentioned biblical characters. 4. Spiritual future of inhgabitent of the world and heaven. 5. Motif of firgivness and cahrity 6. eschatological - topic and the expectation of the day of doom; 7. the topic of curse and damnation; In inscription consist information about political-social meaning have all aspects of theology and imagery plots, according this they have great literary value.